ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2521743

ნომერი: AR1388205

თარიღი : 21.03.2016

გაცემის თარიღი : 08.04.2016

გაცნობის თარიღი : 12.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაფაელ აგლაძის ქუჩა N53 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ემინი მამედოვი პ/ნ 01015001956
- თბილისი ნ.ქუმსიაშვილის ქ. N 1

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25/12/2014 წლის #1659679 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 21.03.2016 წლის #AR1388205 განცხადებით მომართა ემინი მამედოვმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურის 25/12/2014 წლის #1659679 ბრძანებაში, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25/12/2014 წლის #1659679 ბრძანებით ქ. თბილისში, სტანისლავსკის ქ. #12–ში, შ.პ.ს. ,,აქტექ"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი #01.13.05.003.083) შეთანხმდა შერეული ფუნქციის შენობა–ნაგებობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ნაწილში დაშვებული იქნა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ ბრძანებაში მითითებული ფართების რამდენიმე პარამეტრი შედომით, არასწორადაა დათვლილი და არ შეესაბამება პროექტის რეალურ ფართობებს. რის გამოც, განმცხადებელი ითხოვს გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და დაფიქსირდეს შემდეგი მაჩვენებლები: საოფისე ფართი 497.87 კვ.მ–ის ნაცვლად – 486.9 კვ.მ. ხოლო, დამხმარე ფართის – 63.71 კვ.მ–ის ნაცვლად – 74.68 კვ.მ. სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25/12/2014 წლის #1659679 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საოფისე ფართი 497.87 კვ.მ–ის ნაცვლად – 486.9 კვ.მ. ხოლო, დამხმარე ფართის – 63.71 კვ.მ–ის ნაცვლად – 74.68 კვ.მ. სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 25/12/2014 წლის #1659679 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.